ხელშეკრულება №-_
ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ

ქ. ბათუმი **„--" „----------" 2025 წელი**

ხელშეკრულების მხარეები:

შპს „ერანეტი" (ს.ნ 445605514) წარმოდგენილი მისი დირექტორი **ირაკლი გოგიშვილი** (შემდგომში **„მიმწოდებელი/ოპერატორი"**);
ფიზიკური პირი „----------" (პ.ნ ----------), შემდგომში **„შემკვეთი/აბონენტი"**,

ორთავე ერთად **„მხარეები"** (ცალ-ცალკე **„მხარე"**), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე დებენ წინამდებარე ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი/ოპერატორი" ახორციელებს „შემკვეთი/აბონენტისათვის" ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას (შემდგომში „მომსახურება"), რაც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით ან/და მისი დანართებით, ხოლო „შემკვეთი/აბონენტი" ვალდებულია, გადაუხადოს ოპერატორს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება.

1.2. მომსახურების მიწოდების ადგილია: **ქ. ბათუმი, ----------ის ქ. №---,** „მიმწოდებელი/ოპერატორი"-ს გაფრთხილების გარეშე ,,შემკვეთი/აბონენტი''-ს მიერ მომსახურების მიწოდების ადგილის/მისამართის შეცვლა დაუშვებელია.

1.3. ,,მხარეები'' თანხმდებიან, რომ „მიმწოდებელი/ოპერატორი" უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მომსახურების პაკეტი ან/და მისი შემადგენლობა, რის შესახებ წინასწარ აცნობებს აბონენტს.

2. მომსახურების პირობები

2.1 მომსახურების სახეობები, მოცულობა (ე.წ. „პაკეტები") და მისი მიწოდების ადგილი (შემდგომში **„მომსახურების მიწოდების ადგილი"**) განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართებით. მომსახურება შეიძლება შედგებოდეს შემდეგი კომპონენტებისგან: აბონენტის დაშვება საერთაშორისო კომპიუტერულ ქსელთან - ინტერნეტთან.

მომსახურების გაწევის მიზნით ოპერატორი აბონენტს დროებით სარგებლობაში გადასცემს შესაბამის ტექნიკურ მოწყობილობებს (მოდემი, კაბელი, კონექტორი ან/და სხვ.) (შემდგომში **„საბონენტო მოწყობილობები"**) რომელთა დეტალური ჩამონათვალი და მახასიათებლები განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართებით. ოპერატორის მიერ საბონენტო მოწყობილობების აბონენტისთვის გადაცემას (მათ შორის, 2.3 პუნქტით გათვალისწინებულ მიერთებას) მხარეები ადასტურებენ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით. აღნიშულ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით აბონენტი ასევე ადასტურებს, რომ მის მიერ შემოწმებულ იქნა მისთვის გადაცემული (2.3 პუნქტის შესაბამისად მიერთებული) ყველა საბონენტო მოწყობილობის გამართულობა და ისინი ვიზუალურადაც და ფუნქციონალურადაც უნაკლოა და არ გააჩნია რაიმე დეფექტი (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონკრეტული დეფექტის შესახებ პირდაპირ არის მითითებული მიღება-ჩაბარების აქტში). **მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის მომენტიდან აბონენტზე გადადის საბონენტო მოწყობილობების დაზიანების ან/და განადგურების რისკი.**

2.2 **ოპერატორის** მიერ საბონენტო მოწყობილობების მიერთება მომსახურების მიწოდების ადგილზე ოპერატორის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ საერთო სარგებლობის ქსელთან (შემდგომში **„საერთო სარგებლობის ქსელი"**) უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების დადებიდან **5 (ხუთი) დღის** ვადაში (შემდგომში **„ქსელში ჩართვა"**), ხოლო წინამდებარე ხელშეკრულებაში მხარეთა მიერ ცვლილების განხორციელების შემთხვევაში (რომელიც ეხება მომსახურების სახეობის დამატებას, შეცვლას, მისი მოცულობის შეცვლას ან/და მიწოდების ადგილის ცვლილებას) - ასეთი ცვლილების განხორციელებიდან **5 (ხუთი) დღის** ვადაში (შემდგომში **„ქსელში დამატებითი ჩართვა"**).

2.3 **აბონენტი ვალდებულია,** უზრუნველყოს მხოლოდ ოპერატორის უფლებამოსილი წარმომადგენლების დაშვება მომსახურების მიწოდების ადგილზე საბონენტო მოწყობილობების მონტაჟისთვის, დემონტაჟისთვის ან/და სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად და ხელი შეუწყოს მათ ყველანაირად, მათ შორის, უზრუნველყოს მათთვის ელექტროენერგიის მიწოდება და საჭიროების შემთხვევაში მოიპოვოს საბონენტო მოწყობილობების ან/და საერთო სარგებლობის ქსელის ცალკეული ელემენტების მონტაჟისთვის ყველა აუცილებელი თანხმობა და ნებართვა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ხსენებული მოქმედებები უნდა განხორციელდეს ოპერატორის მიერ აბონენტის თანასაკუთრებაში ან მესამე პირის საკუთრებაში არსებულ ნივთზე ზემოქმედებით.

2.4 მომსახურება ხელმისაწვდომია ყოველდღიურად 24 საათის განმავლობაში, უწყვეტად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიმდინარეობს გადაუდებელი სარემონტო ან/და პროფილაქტიკური სამუშაოები, რის შესახებაც აბონენტს უნდა ეცნობოს ოპერატორის მიერ აღნიშნული სამუშაოების დაწყებამდე არანაკლებ 24 (ოცდაოთხი) საათით ადრე წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით. ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს საერთო სარგებლობის ქსელის გადატვირთვას ან/და ავარიულ გათიშვას, რის გამოც ასეთი ცალკეული შეფერხებები აბონენტის მიერ არ მიიჩნევა მომსახურების უხარისხო შესრულებად, თუ კალენდარული თვის განმავლობაში ასეთ შემთხვევათა რაოდენობა ჯამში არ აღემატება 10-ს, ხოლო ხანგრძლივობა - 24 საათს.

2.5 საერთო სარგებლობის ქსელის ერთი ან რამდენიმე კომპონენტის დაზიანებისას, რაც გავლენას ახდენს ოპერატორის მიერ აბონენტისთვის მომსახურების მიწოდებაზე ან ასეთი მიწოდების ხარისხზე, ოპერატორი ვალდებულია, ტექნიკური შესაძლებლობების და მის ხელთ არსებული რესურსების ფარგლებში უსასყიდლოდ აღმოფხვრას დაზიანება და აღადგინოს მომსახურება ან/და გამოასწოროს მისი მიწოდების ხარისხი, თუ აღნიშნულთან დაკავშირებით აბონენტის მიერ განხორციელდა შესაბამისი მოთხოვნა - ასეთი მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში. საერთო სარგებლობის ქსელში არ შედის და, შესაბამისად, ოპერატორის ამ პუნქტით დადგენილი ვალდებულება არ ვრცელდება საერთო სარგებლობის ქსელთან დაკავშირებულ იმ კომპონენტებზე (მაგალითად, კაბელები, მოწყობილობები და სხვ.), რომლებიც იმყოფება/დამონტაჟებულია აბონენტის საკუთრებაში/თანასაკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ ნივთზე, ამდენად, ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი მათ დაზიანებაზე ან/და განადგურებაზე და აბონენტი თავად არის ვალდებული, დაიცვას ისინი დაზიანებისა და განადგურებისაგან და შეინარჩუნოს ისინი საწყის მდგომარეობაში. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნა ისეთ დაზიანებას, რომლის გამოსწორების ვალდებულება წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე არ ეკისრება ოპერატორს, მაშინ ასეთი დაზიანების აღმოფხვრა აბონენტის მოთხოვნისას ოპერატორის მიერ განხორციელდება ოპერატორის ვებ-გვერდზე მითითებული ტარიფების შესაბამისად.

2.6 **აბონენტი ვალდებულია,** საერთო სარგებლობის ქსელში ჩართვა და მომსახურებების მიღება მოახდინოს მხოლოდ ოპერატორის მიერ გადაცემული საბონენტო მოწყობილობებით და დაიცვას მათი გამოყენების ინსტრუქციით განსაზღვრული წესები. აბონენტი არ არის უფლებამოსილი, როგორც პირადად, ასევე ნებისმიერი სხვა მესამე პირის მეშვეობით გამოიყენოს საბონენტო მოწყობილობები ნებისმიერი სხვა მიზნით, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღებისა, მოახდინოს რომელიმე საბონენტო მოწყობილობის პროგრამული უზრუნველყოფის მთლიანობის დარღვევა ან/და მისი კოპირება, მოახდინოს რომელიმე საბონენტო მოწყობილობის ან/და მისი შეფუთვის ერთიანობის დარღვევა ან/და მისი რომელიმე კომპონენტის შეცვლა. აბონენტი ვალდებულია, აუნაზღაუროს ოპერატორს ნებისმიერი საბონენტო მოწყობილობის დაზიანებით ან/და განადგურებით მიყენებული ზიანი წინამდებარე ხელშეკრულების დანართებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

2.7 აბონენტი **უფლებამოსილია,** ისარგებლოს საბონენტო მოწყობილობების საგარანტიო მომსახურებით 2.2 პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში, თუ გამოვლინდა, რომ კონკრეტული საბონენტო მოწყობილობის ტექნიკური გაუმართაობა გამოწვეულია მხოლოდ მისი ქარხნული დეფექტით. საგარანტიო მომსახურების ფარგლებში ოპერატორი ვალდებულია, საკუთარი შეხედულებისამებრ - ან აღმოფხვრას აღნიშნული ტექნიკური გაუმართაობა საბონენტო მოწყობილობის შეკეთების გზით ან შეცვალოს საბონენტო მოწყობილობა ახალი/მსგავსი საბონენტო მოწყობილობით გონივრულ ვადაში. ვადის ათვლა მოხდება აბონენტის შესაბამისი მოთხოვნის საფუძვლიანობის დადგენიდან, ხოლო მოთხოვნის საფუძვლიანობის დადგენის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 3 (სამ) სამუშაო დღეს აბონენტის მიერ შესაბამისი მოთხოვნის განხორციელებიდან.

2.8 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, მისი შეწყვეტიდან **10 (ათი) დღის** ვადაში დაუბრუნოს ოპერატორს დროებით სარგებლობაში გადაცემული ყველა საბონენტო მოწყობილობა ვარგის მდგომარეობაში და ყოველგვარი დაზიანების გარეშე (სათანადო გამოყენებით გამოწვეული ცვეთა მხედველობაში არ მიიღება), წინააღმდეგ შემთხვევაში საბონენტო მოწყობილობები ჩაითვლება აბონენტის მიერ შესყიდულად და აბონენტი ვალდებულია, აუნაზღაუროს ოპერატორს მისი/მათი ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების დანართებით განსაზღვრული ოდენობით. აბონენტის მიერ ოპერატორისთვის საბონენტო მოწყობილობების დაბრუნებას მხარეები ადასტურებენ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით, სადაც მიეთითება თითოეული საბონენტო მოწყობილობის მდგომარეობა. იგივე წესი გამოიყენება იმ საბონენტო მოწყობილობების მიმართ, რომლებიც აღარ გამოიყენება (აღარ არის საჭირო) მომსახურების ან მისი ნაწილის მისაწოდებლად/მისაღებად მომსახურებაში ნებისმიერი ცვლილების გამო. ყველა საბონენტო მოწყობილობის დაბრუნება უნდა მოხდეს ოპერატორის ადგილსამყოფელის მიხედვით.

_____ _____
შპს „ერანეტი"-ს ოპერატორი \ წარმომადგენელი აბონენტი \ წარმომადგენელი

2.9 ოპერატორი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების ნებისმიერი პირობა, მათ შორის, მომსახურების ერთი ან რამდენიმე პირობა და წესი, ტარიფების (სააბონენტო გადასახადის) ოდენობა, მათი გადახდის წესები. ოპერატორმა ასეთი ცვლილებების შესახებ დეტალური ინფორმაცია უნდა განათავსოს მის ვებ-გვერდზე, რაც ჩაითვლება აბონენტისთვის შეტყობინებად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ასეთი ცვლილების შედეგად იზრდება მომსახურების ღირებულება (სააბონენტო გადასახადი), ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში (მათ შორის, „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში), ოპერატორი ახდენს აბონენტის ინფორმირებას ინდივიდუალური შეტყობინების საშუალებით, კერძოდ, წერილობითი შეტყობინების გაგზავნით მომსახურების მიწოდების ადგილას, აბონენტის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ელ-ფოსტის მისამართზე, ტელეფონის ნომერზე (მოკლე ტექსტური შეტყობინება) ან/და მომსახურების მიმღები ტექნიკური საშუალების ეკრანზე. ყველა ასეთი ცვლილება ძალაში შედის და ავტომატურად ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულებაზე აბონენტის შეტყობინებიდან 1 (ერთი) თვის გასვლისას. თუ აღნიშნული ცვლილებების ძალაში შესვლამდე აბონენტი არ მიმართავს ოპერატორს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე 6.2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებები აბონენტის მიერ მიიჩნევა მიღებულად.

2.10 ოპერატორი უფლებამოსილია, დააწესოს ფასდაკლებები სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით, საჯარო განცხადების სახით, გააკეთოს სპეციალური შეთავაზებები (აქციები). აბონენტებისათვის განსაზღვრული ფასდაკლებები ან სპეციალური შეთავაზებები (აქციები) შესაძლებელია იყოს, როგორც მუდმივად მოქმედი, ასევე დროებითი. ფასდაკლებებით ან სპეციალური შეთავაზებებით (აქციებით) სარგებლობის პირობები განისაზღვრება ოპერატორის მიერ და ინფორმაციას მისი პირობების და ხელმისაწვდომობის შესახებ ოპერატორი ავრცელებს მის მიერ დადგენილი წესით, მათ შორის ვებ-გვერდზე.

2.11 ინტერნეტთან დაშვების მომსახურებით სარგებლობისას აკრძალულია:

ა) რეკლამის, ინფორმაციის ან სხვა მასალების გადაცემა ინტერნეტის სხვა მომხმარებელთათვის ასეთი მასალების ადრესატების თანხმობის გარეშე, როგორც ელექტრონული მისამართების, ისე საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ელექტრონული გამოცემებისა და კონფერენციების მეშვეობით, რომლებიც არ არის განკუთვნილი ამ მიზნისათვის;

ბ) ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტით განსაზღვრული არასასურველი ელექტრონული გზავნილების (სპამი), დაუშვებელი პროდუქციის, კომპიუტერული ვირუსების, თაღლითური ან/და სხვა მავნე პროგრამების გავრცელება/გადამისამართება;

გ) ტექნოლოგიურ კომპონენტებში (აგრეგატებში), პროგრამებში, მონაცემთა ბაზებში და ინტერნეტის სხვა კომპონენტებში არასანქცირებული შეღწევა;

დ) მომსახურების სხვა მესამე პირებისათვის მიწოდება ნებისმიერი გზით, მათ შორის, მომსახურების პაკეტის გაყოფა ნებისმიერი სხვა მესამე პირისათვის.

2.12 აბონენტი ვალდებულია, მომსახურებით სარგებლობისას გაითვალისწინოს ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ყველა მოთხოვნა, მათ შორის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილებებში ასახული არასრულწლოვნების მიერ ინტერნეტის/ტელევიზიის გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები და სხვ.

2.13 აბონენტი ვალდებულია, მომსახურებით არასანქცირებული სარგებლობის აღმოჩენის შემთხვევაში აღკვეთოს ასეთი სარგებლობა ან, აღკვეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, უმოკლეს ვადაში შეატყობინოს ოპერატორს არასანქცირებული სარგებლობის შესახებ.

2.14 აბონენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს ოპერატორს წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მისი რომელიმე პერსონალური ან/და საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების შესახებ.

2.15 ოპერატორი ვალდებულია, აბონენტის მოთხოვნისას მიაწოდოს მას აუცილებელი და სწორი ინფორმაცია ოპერატორის მიერ შეთავაზებული მომსახურებების შესახებ, მომსახურების შეწყვეტის მიზეზებისა და ხანგრძლივობის, ისევე, როგორც მის სააბონენტო ანგარიშზე ბალანსის ოდენობის თაობაზე - ოპერატორის მიერ დადგენილი ფორმით.

2.16 ინტერნეტთან დაშვების მომსახურებისას ამ ხელშეკრულების მიხედვით აბონენტისთვის გამოყოფილი სიმძლავრეების გაზომვის და საანგარიშო თვეში ამ სიმძლავრეების საშუალო ოდენობების შეფასებას ოპერატორი უზრუნველყოფს არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, რაც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) ინტერნეტ სიმძლავრეების ტესტირების ფუნქციის მქონე ვებ-გვერდების გამოყენებას.

2.17 აბონენტი, ოპერატორისთვის მის მიერ საწინააღმდეგოს შეტყობინებამდე, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს თანხმობას, ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში მიიღოს ოპერატორისაგან მომსახურებასთან დაკავშირებული სარეკლამო სახის ნებისმიერი შეტყობინება. ამ მიზნით ოპერატორი უფლებამოსილია, გამოიყენოს აბონენტის საკონტაქტო მონაცემები (სახელი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა ან/და მისამართი).

2.18 **აბონენტს უფლება აქვს,** საანგარიშო წლის განმავლობაში შეაჩეროს სასურველი მომსახურება მაქსიმუმ **180 (ასოთხმოცი)** დღის ვადით. მომსახურების შესაჩერებლად აბონენტი ვალდებულია, გადაიხადოს შესაბამისი შეჩერების საფასური წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. საანგარიშო წელიწადი წარმოადგენს აბონენტის მიერ შესაჩერებელი მომსახურების გააქტიურების თარიღიდან ათვლილ **365 (სამასსამოცდახუთ)** დღეს. გასული საანგარიშო წლის განმავლობაში გამოუყენებლი შეჩერების ლიმიტები არ გადადის მომდევნო საანგარიშო პერიოდში. მომსახურების ან/და მისი რომელიმე კომპონენტის შეჩერებით სარგებლობისათვის, მოთხოვნილი შეჩერების გააქტიურების დღისთვის აბონენტის პირობით ანგარიშზე (იდენტიფიკატორის შესაბამისად) უნდა არსებობდეს დადებითი ბალანსი (არ უნდა არსებობდეს რაიმე სახის დავალიანება), წინაადმდეგ შემთხვევაში აბონენტს შეჩერება არ გაუაქტიურდება. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტის მიერ მოთხოვნილია შესაბამისი მომსახურების დაუყოვნებლივ შეჩერება, შეჩერება წარმოებს მომდევნო დღიდან, ხოლო თუ შეჩერება მოთხოვნილია სამომავლო პერიოდზე, მაშინ - მოთხოვნაში განსაზღვრულ კონკრეტული თარიღიდან.

2.19 მომსახურების შეჩერების ღირებულება განისაზღვრება თვეში **5 (ხუთი)** ლარის ოდენობით, მიუხედავად იმისა, ერთი სახის მომსახურებაა შეჩერებული თუ რამდენიმე (ან ყველა). შეჩერების საფასური აბონენტს ჩამოეჭრება მისი პირობითი ანგარიშიდან (იდენტიფიკატორის შესაბამისად) წინასწარ, შეჩერებით სარგებლობის დაწყების დღეს, ხოლო თუ შეჩერების ვადა აღემატება **30 (ოცდაათ)** დღეს, მაშინ შეჩერების საფასურის ჩამოჭრა მოხდება წინასწარ, შეჩერების ყოველი საანგარიშო თვის დაწყებისას. აბონენტის პირობით ანგარიშზე (იდენტიფიკატორის შესაბამისად) შეჩერების საფასურის ჩამოჭრის დღეს არასაკმარისი თანხის არსებობის შემთხვევაში აბონენტს ვერ გაუაქტიურდება შესაბამისი შეჩერება.

2.20 იმ შემთხვევაში, თუ მომსახურება უკვე შეჩერებულია და ვერ განხორციელდება შეჩერების გასაგრძელებლად საჭირო თანხის ჩამოჭრა, აბონენტს შეუწყდება შეჩერებული მომსახურების მიწოდება.

2.21 მომსახურების შესაჩერებლად აბონენტმა უნდა მიმართოს ოპერატორს და მიუთითოს მომსახურების შეჩერების კონკრეტული ვადები. შეჩერების პერიოდში აბონენტს არ მიეწოდება მომსახურება. მომსახურების შეჩერების პერიოდის დასრულების შემდგომ მომსახურების მიწოდება აღდგება ავტომატურად.

2.22 აბონენტი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს შეჩერებულ მომსახურებაზე შეჩერების მოხსნა. ამასთან, შეჩერების გაუქმების შემთხვევაში, აბონენტისთვის მინიჭებულ შეჩერების შესაბამის ლიმიტს აკლდება ფაქტობრივად შეჩერებული დღეების რაოდენობა, თუმცა გადახდილი შეჩერების საფასურის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება აბონენტს არ წარმოეშობა.

3. მომსახურების ღირებულება და მისი გადახდის წესი

3.1 მომსახურების ღირებულების (შემდგომში „**სააბონენტო გადასახადი**“) ოდენობა განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართებით. აბონენტი ვალდებულია, გადაუხადოს ოპერატორს სააბონენტო გადასახადი წინამდებარე ხელშეკრულების დანართებით გათვალისწინებული ოდენობით, მიუხედავად იმისა, ფაქტობრივად სარგებლობს თუ არა იგი აღნიშნული მომსახურებით. გადახდა უნდა განხორციელდეს წინასწარ, ყოველი შესაბამისი საანგარიშო თვის დაწყებამდე, თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დანართით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

3.2 ქსელში ჩართვის ან/და ქსელში დამატებითი ჩართვის ღირებულება შესაძლოა არ შედიოდეს მომსახურების ღირებულებაში და იგი აბონენტის მიერ გადახდილ უნდა იქნას დამატებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანართებით განსაზღვრული ოდენობით. გადახდა უნდა განხორციელდეს **3.1** პუნქტით გათვალისწინებული პირველი სააბონენტო გადასახადის გადახდასთან ერთად.

3.3 აბონენტის მიერ ქსელში ჩართვის ღირებულების, ქსელში დამატებითი ჩართვის ღირებულების ან/და სააბონენტო გადასახადის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისი დანართებით დადგენილი ოდენობით და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში ოპერატორი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს (მათ შორის, დაუყოვნებლივ) შეაჩეროს მომსახურების მიწოდება სრულად ან ნაწილობრივ (საკუთარი შეხედულებისამებრ) აბონენტის გაფრთხილების გარეშე - აბონენტის მიერ დავალიანების სრულ დაფარვამდე.

3.4 კონკრეტული მომსახურებისთვის წინამდებარე ხელშეკრულების ამა თუ იმ დანართით განსაზღვრული სააბონენტო გადასახადი შემცირდება იმ პერიოდის პროპორციულად, რა პერიოდის განმავლობაშიც აბონენტს შესაბამისი მომსახურება არ მიეწოდებოდა ან მიეწოდებოდა უხარისხოდ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გამოწვეული იყო თავად აბონენტის ბრალით/აბონენტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევით, ასევე გარდა 2.5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აღნიშნული პერიოდი აითვლება აბონენტის მიერ ოპერატორისთვის შესაბამისი შეტყობინების წარდგენის დღიდან. ოპერატორის მიერ ხსენებული შეტყობინების **მიღებამდე ითვლება,** რომ აბონენტმა მიიღო მიწოდებული მომსახურება და **აბონენტი ვალდებულია, გადაიხადოს გაწეული მომსახურების სააბონენტო გადასახადი.**

3.5 წინამდებარე ხელშეკრულების დანართით შესაძლებელია, გათვალისწინებულ იქნას აბონენტის მიერ 2.6 პუნქტით გათალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა ოპერატორისთვის დეპოზიტის სახით თანხის წინასწარ გადაცემით (დეპონირებით), რომლის ოდენობაც ასევე განისაზღვრება იმავე დანართით. აბონენტი ვალდებულია, გადასცეს ოპერატორს აღნიშნული თანხა დეპოზიტის სახით შესაბამისი დანართის გაფორმებისთანავე. ოპერატორი ვალდებულია, დაუბრუნოს აბონენტს დეპოზიტის

სახით მიღებული თანხა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აბონენტის მიერ შესრულდება 2.6 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება სრულად, ჯეროვნად და დათქმულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში დეპოზიტად მიღებული თანხა ჩაითვლება შესაბამისი სააბონენტო მოწყობილობის ღირებულების/ზიანის ანაზღაურების ანგარიშში (მათ შორის, 4.2 პუნქტით დადგენილ შემთხვევებშიც).

3.6 ყველა გადახდა აბონენტის მიერ უნდა განხორციელდეს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორებით, ეროვნულ ფულად ვალუტაში - ლარში. ნაღდი ანგარიშსწორებისას თანხის გადახდის ფაქტი დასტურდება ოპერატორის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტით, ამასთან ნაღდი ანგარიშსწორება შესაძლებელია მხოლოდ ოპერატორის სერვის-ცენტრში. უნაღდო ანგარიშსწორებისას თანხა ჩარიცხულ უნდა იქნას ოპერატორის საბანკო ანგარიშზე ან გადახდილ იქნას სწრაფი გადახდის ელექტრონული სისტემების მეშვეობით, სადაც აბონენტმა უნდა მიუთითოს მისი უნიკალური იდენტიფიკატორი, რომელიც მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართში. ასეთ შემთხვევაში თანხა გადახდილად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ჩაირიცხება (აისახება) ოპერატორის საბანკო ანგარიშზე. აბონენტის მიერ გადახდილი თანხები აისახება მის პირობით ანგარიშზე (ოპერატორის მონაცემთა ბაზაში), რომელიც იდენტიფიცირდება აღნიშნული უნიკალური იდენტიფიკატორით.

3.7 აბონენტი აცხადებს წინასწარ თანახმობას, მის ანგარიშზე არსებული ნებისმიერი დავალიანების მესამე (გარეშე) პირის მიერ დაფარვის (ერთჯერადად ან განვადებით) ან/და მომსახურების აღდგენის მიზნით, საჯაროდ ხელმისწავდომი იყოს აბონენტის პირობით ანგარიშზე (იდენტიფიკატორის შესაბამისად) არსებული დავალიანების ჯამური ოდენობის შესახებ ინფორმაცია, ასევე შესაძლებელი იყოს მესამე პირის მიერ მომსახურების აღდგენა ან/და დავალიანების დაფარვა (ერთჯერადად ან განვადებით), ყოველგვარი დამატებითი თანხმობის გარეშე. აღნიშნული პირობა არ ართმევს აბონენტს უფლებას, ნებისმიერ დროს მოითხოვოს მისი ჯამური დავალიანების მესამე პირებზე გაცემის შეზღუდვა.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 ოპერატორის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მომსახურების მიწოდების ადგილას, მათ შორის, აბონენტის თანასაკუთრებაში (თანამფლობელობაში) ან/და მესამე პირის საკუთრებაში არსებულ ნივთზე 2.2 ან/და 2.3 პუნქტით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელების შედეგად მესამე პირების მიმართ წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებს აბონენტი, თუ ისინი შესრულებული იქნება ტექნიკური წესების დაცვითა და გონივრულობით. ამასთანავე, ოპერატორი არ არის ვალდებული, წინასწარ შეამოწმოს მომსახურების მიწოდების ადგილის მდგომარეობა და განსაზღვროს განსახორციელებელი მოქმედებებით მოსალოდნელი ზიანი.

4.2 აბონენტი ადასტურებს, რომ ოპერატორის მიერ გაწეული მომსახურება მის მიერ არ გამოიყენება რაიმე სახის შემოსავლის მიღების მიზნით, შესაბამისად, ოპერატორის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში აბონენტი არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს არაპირდაპირი ზიანი, მათ შორის, ნებისმიერი სახის მიუღებელი შემოსავალი.

4.3 იმ შემთხვევაში, თუ აბონენტის მიერ განხორციელებული მოთხოვნა საერთო სარგებლობის ქსელის ერთი ან რამდენიმე კომპონენტის დაზიანების აღმოფხვრის ან მომსახურების მიწოდების ხარისხის გამოსწორების შესახებ აღმოჩნდა უსაფუძვლო, მაშინ აბონენტი ვალდებულია, აუნაზღაუროს ოპერატორს პირგასამტეხლო **10 (ათი)** ლარის ოდენობით.

4.4 აბონენტის მიერ 2.13 ან/და 2.14 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში იგი ვალდებულია, გადაუხადოს ოპერატორს პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის ყოველი შემთხვევისთვის, ამასთანავე, პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს აბონენტს ძირითადი ვალდებულების შესრულების მოვალეობისგან.

4.5 არცერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია სტიქიური უბედურებებით ან/და ტექნოლოგიური კატასტროფებით, ხანძრით, საომარი მოქმედებებით, სამოქალაქო ომით, აჯანყებით, ტერორისტული აქტებით, სამთავრობო გადაწყვეტილებებით, სამთავრობო აქტებით ან/და დაუძლეველი ძალის სხვა გარემოებებით (შემდგომში „**ფორს მაჟორული გარემოება**“) და ეს მოვლენები დაიწყო ან განვითარდა წინამდებარე ხელშეკრულების დადების შემდეგ და იგი არ არის გამოწვეული თავად მხარის მიერ/ბრალით.

4.6 ფორს-მაჟორული გარემოების წარმოშობის შემდეგ, მხარე, რომლისთვისაც ცნობილი გახდა აღნიშნული გარემოების შესახებ, ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით, ასეთი გარემოების, მისი შესაძლო ხანგრძლივობის (თუ შესაძლებელია ხანგრძლივობის განსაზღვრა) და წინამდებარე ხელშეკრულებაზე მისი შესაძლო ზემოქმედების ისევე როგორც ფორს-მაჟორული გარემოების დასრულების შესახებ.

4.7 თუ ფორს-მაჟორული გარემოება იწვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე რომელიმე ვალდებულების შესრულების უწყვეტ შეყოვნებას არაუმეტეს 3 (სამი) თვისა, შესრულების ეს ვადა გაგრძელდება ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების ხანგრძლივობის შესაბამისად. თუ ასეთი შეყოვნება აჭარბებს 3 (სამ) თვეს უწყვეტად, მაშინ თითოეული მხარე უფლებამოსილია, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება გაფრთხილების გარეშე, ამასთანავე თითოეული მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს შეწყვეტამდე შესრულებული ყველა ის ვალდებულება, რომლის ტოლფასი შემხვედრი ვალდებულება არ/ვერ იქნა შესრულებული (ასეთის არსებობისას).

5. მხარეთა კომუნიკაცია

5.1 ნებისმიერი კორესპონდენცია (შეტყობინება, განცხადება, წერილი, ინფორმაცია ან/და სხვ.), დაკავშირებული ამ ხელშეკრულებასთან ან რომელიც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულებით, უნდა განხორციელდეს წერილობით - საფოსტო გზავნილის, ელექტრონული ფოსტის ან/და სატელეფონო მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით შესაბამისი მხარის იმ მისამართიდან/სატელეფონო ნომრიდან და იმ მისამართზე/სატელეფონო ნომერზე, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში. აღნიშნულთაგან კონკრეტული საშუალების გამოყენების საკითხს წყვეტს გამგზავნი მხარე ერთპიროვნულად.

5.2 მიუხედავად 5.1 პუნქტში აღნიშნულისა, თუ წინამდებარე ხელშეკრულებაში სპეციალურად სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, ნებისმიერი კორესპონდენცია (შეტყობინება, განცხადება, წერილი, ინფორმაცია ან/და სხვ.) ოპერატორის მიერ აბონენტის მიმართ განხორციელებულად ითვლება ოპერატორის ვებ-გვერდზე მისი განთავსების მომენტიდან.

5.3 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების მიზნით ოპერატორი უზრუნველყოფს მუდმივმოქმედი 24 საათიანი ცხელი ხაზის მუშაობას. აბონენტი უფლებამოსილია ცხელ ხაზზე დარეკოს მომსახურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეფერხების შემთხვევაში, მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიღებისათვის და ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ შემთხვევაში. ცხელი ხაზის ნომერია +995 0422 22 11 09.

5.4 წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მხარის მისამართი, ელ-ფოსტა ან/და სატელეფონო ნომერი შეიძლება შეცვლილ იქნას მისი მფლობელი მხარის მიერ ნებისმიერ დროს მეორე მხარისათვის წინასწარ შეტყობინებით.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი დადების დღეს და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

6.2 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) ერთ-ერთი მხარის მიერ ცალმხრივად მისი დადებიდან **6 (ექვსი)** თვის გასვლის შემდეგ, მეორე მხარისათვის სულ მცირე **1 (ერთი)** თვით ადრე შეტყობინებით;

ბ) ოპერატორის მიერ ცალმხრივად, თუ აბონენტი არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ერთ ან რამდენიმე ვალდებულებას - აბონენტისთვის შეტყობინების გაგზავნისთანავე;

გ) აბონენტის მიერ ცალმხრივად, თუ ოპერატორი არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ერთ ან რამდენიმე ვალდებულებას - ოპერატორისთვის შეტყობინების გაგზავნისთანავე;

დ) აბონენტის მიერ ცალმხრივად, თუ ის არ ეთანხმება ოპერატორის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებულ ერთ ან რამდენიმე ცვლილებას, მხოლოდ ასეთი ცვლილების ძალაში შესვლამდე - ოპერატორისთვის შეტყობინების გაგზავნისთანავე;

ე) ავტომატურად, თუ აბონენტის მიერ სააბონენტო გადასახადის გადახდის ვალდებულება სრულად არ სრულდება ზედიზედ სულ მცირე **6 (ექვსი)** თვის განმავლობაში, აბონენტს შეჩერებული აქვს ყველა მომსახურება საანგარიშო წლის განმავლობაში ჯამში **180 (ასოთხმოც)** დღეზე მეტხანს ან/და **2.22** პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ვ) 4.7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ზ)თუ აბონენტი დამქირავებელი ან მოიჯარეა და შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი (შენიშვნა: ასეთ შემთხვევაში, მესაკუთრის სურვილის შემთხვევაში, იდება ახალი ხელშეკრულება მესაკუთრესთან და არ იცვლება აბონენტის სარეგისტრაციო ნომერი);

თ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7. პრეტენზიების განხილვა და დავების გადაწყვეტა

7.1 მომსახურების არაჯეროვნად მიღებასთან, სააბონენტო გადასახადის დარიცხვასთან ან ნებისმიერ ხარვეზთან დაკავშირებით აბონენტი უფლებამოსილია, პრეტენზიით მიმართოს ოპერატორს. პრეტენზია შედგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადების სახით და წარედგინოს ოპერატორს წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მისსავე მისამართზე.

7.2 პრეტენზიაში აბონენტმა უნდა მიუთითოს მისი ვინაობა, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია. პრეტენზიაში მკაფიოდ და სრულყოფილად უნდა იყოს ჩამოყალიბებული თუ რა მიაჩნია აბონენტს ოპერატორის მხრიდან არასწორ ან არასამართლიან ქმედებად, მისი მოთხოვნა და გარემოებები, რომელსაც ეფუძნება მოთხოვნა, ასევე მტკიცებულებები,

რომლებიც ადასტურებენ მოყვანილ გარემოებებს (ასეთის არსებობისას). პრეტენზიას უნდა დაერთოს ხელშეკრულების ასლი ან მიეთითოს ხელშეკრულების ნომერი და პრეტენზიის შინაარსის დამადასტურებელი სხვა მონაცემები. აბონენტის მიერ წარდგენილი პრეტენზია ოპერატორის მიერ განხილული იქნება ოპერატორის მიერ დადგენილი და დამტკიცებული წესების მიხედვით, რომლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია წარდგენილ პრეტენზიაში ასახული მოთხოვნების ტექნიკურ და ადმინისტრაციულ სირთულეზე, კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დაცვით.

7.3 ნებისმიერი დავა თავდაპირველად წერილობით უნდა ეცნობოს მეორე მხარეს. მხარეები იღებენ ყველა ზომას, რათა ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავა ან უთანხმოება, (მათ შორის თვით ამ ხელშეკრულების არსებობის, ნამდვილობის, შეწყვეტის ან ბათილობის საკითხი) (შემდგომში "**დავა**") გადაწყდეს მოლაპარაკების გზით სანამ მიმართავენ სასამართლოს.

7.4 მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში მათ შორის არსებული ნებისმიერი დავა წარდგენილ უნდა იქნას საქართველოს შესაბამის სასამართლოში და გადაწყდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება მიქცეულ იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1 ნაწილის შესაბამისად.

7.5. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში მათ შორის არსებული, ბუღალტრულად დადასტურებული/აღიარებული, ფინანსური დავა მათი შეხედულებისამებრ თავდაპირველად შეიძლება გადაწყდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში გამარტივებული წარმოების ფარგლებში.

8. სხვა პირობები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითო მხარეს.

8.2 თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება გახდა ბათილი, ეს არ მოახდენს გავლენას ამ ხელშეკრულების სხვა დებულებების ნამდვილობაზე, თუ სავარაუდოა, რომ ხელშეკრულება ამ ბათილი ნაწილის გარეშეც დაიდებოდა. ამ შემთხვევაში ბათილი დებულება უნდა შეიცვალოს ისეთი ნამდვილი და აღსრულებადი დებულებით ან დებულებებით, რომლებიც რაც შეიძლება მიახლოვებულად ასახავენ ბათილ დებულებასთან დაკავშირებულ მხარეთა განზრახვას.

8.3 მუხლების სათაურები მოცემულია მხოლოდ მოხერხებულობისთვის და არ ზღუდავს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ფარგლებს ან ინტერპრეტაციას რაიმე სახით.

8.4 აბონენტი არ არის უფლებამოსილი, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ოპერატორის მიმართ წარმოშობილი მოთხოვნა გადასცეს მესამე პირს ოპერატორის თანხმობის გარეშე, ხოლო ოპერატორი უფლებამოსილია, აბონენტის მიმართ არსებული ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა გადასცეს მესამე პირს აბონენტის თანხმობის გარეშე.

8.5 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. ყველა დანართი მოქმედებს ერთდოულად (პარალელურად), თუ რომელიმე მათგანით სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი. დანართი შეიძლება ითვალისწინებდეს ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ან/და რომელიმე დანართის მოქმედების შეჩერებას/შეწყვეტას ან/და მასში რაიმე ცვლილების შეტანას. ნებისმიერი დანართი შეიძლება მხარეთა მიერ გაფორმდეს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის ნებისმიერ ეტაპზე და ის ავტომატურად ხდება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი. დანართთა პირობებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში გამოიყენება იმ დანართის პირობები, რომელიც უფრო სპეციალური და ახალია.

„მიმწოდებელი/ოპერატორი"

შპს „ერანეტი"
საიდენტიფიკაციო ნომერი: 445605514,
იურდიული მის: ქ. ბათუმი, ზურაბ გორგილაძის ქუჩა, N40, ბინა 36;
ფაქტ. მის: ქ. ბათუმი, ზ. გორგილაძის 91;
ელ ფოსტა: eranet21@gmail.com;
ტელ: 577 28 62 00;
577 28 62 01.
ბანკის რეკვიზიტები:
ბანკის დასახელება: სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE 22
ა/ა GE11BG0000000499496680

„შემკვეთი/აბონენტი"

ფ.პ. ----------
პირადი ნომერი: ----------;
იურდ. მის: ქ. ბათუმი, ----------;
ფაქტ. მის: ქ. ბათუმი, ----------;
ელ-ფოსტა: ----------;
ტელ: ----------;
ბანკის რეკვიზიტები:
ბანკის დასახელება: სს „---------- ბანკი"
ბანკის კოდი: ----------GE 22;
ა/ა GE----------

დირექტორი:
ირაკლი გოგიშვილი

ფიზიკური პირი:

(„--" „-------" 2025 წელი, „ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ" ხელშეკრულება №-___)

ქ. ბათუმი **„--" „----------" 2025 წელი**

1. „აბონენტი"-ს დასახელება: **ფ.პ. „----------"**

2. პირადი ნომერი: **----------;**

3. **აბონენტის სტატუსი:** □ **მესაკუთრე;** □ **დამქირავებელი;** □ **მოიჯარე;**

4. მომსახურების მიწოდების ადგილი: **ქ. ბათუმი, ----------ის ქ. №--;**

5. აბონენტის პირობითი ანგარიშის ნომერი (იდენტიფიკატორი): _____

6. **არჩეული მომსახურების სახეობები:**

6.1 გლობალურ კომპიუტერულ ქსელთან - ინტერნეტთან დაშვების მომსახურება:
გლობალურ კომპიუტერულ ქსელთან - ინტერნეტთან დაშვების მომსახურების მოცულობა (ინტერნეტ-პაკეტები):

ინტერნეტ-პაკეტები		**ინტერნეტთან დაშვების ტექნოლოგია**	**ინტერნეტთან დაშვების სიჩქარე:**	**ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი**
„სტარტი"	☐	**ოპტიკურ-ბოჭკოვანი**	**20 მბ/წმ**	**30 ლარი**
„კომფორტი"	☐	**ოპტიკურ-ბოჭკოვანი**	**40 მბ/წმ**	**65 ლარი**
"მაქსი"	☐	**ოპტიკურ-ბოჭკოვანი**	**60 მბ/წმ**	**100 ლარი**

6.1.2 მომსახურების საინსტალაციო თანხა შეადგენს: **------- ლარს;**
6.1.3. გარე IP-ის ღირებულება შეადგენს**: --- ლარს;**
6.1.4. აბონენტის მიერ გადახდილი მთლიანი ღირებულება მოიცავს დღგ-ს.
6.1.5 სააბონენტო მოწყობილობების ღირებულება და შესაბამისი საგარანტიო (დეპოზიტის) თანხა:

სააბონენტო მოწყობილობა	ოპტიკური მიმღები WDM (CATV+PON)	სააბონენტო მოწყობილობა (ONU)	სააბონენტო მოწყობილობა (Wi-Fi)
მოდელი			
ერთეულის ღირებულება	30.00 ლარი	60.00 ლარი	
დეპოზიტის თანხა			

7. დეპოზიტი (ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად): _____ / _____ /(სიტყვიერად)

8. წინამდებარე დანართით სრულად ან ნაწილობრივ გაუქმებულად ითვლება მხარეთა შორის ადრე გაფორმებული დანართი №

9. შენიშვნა: _____

10. ხელმოწერები:

„მიმწოდებელი/ოპერატორი"
შპს „ერანეტი"
უფლებამოსილი წარმოდგენილი: _____

„აბონენტი"
ფიზიკური პირი

---------- _____

_____ _____
შპს „ერანეტი"-ს ოპერატორი \ წარმომადგენელი აბონენტი \ წარმომადგენელი

მიღება-ჩაბარების
აქტი №-___

ქ. ბათუმი „--” „----------” 2025 წელი

აქტის მონაწილე მხარეები:

შპს „ერანეტი” (ს.ნ 445605514) წარმოდგენილი მისი დირექტორი ირაკლი გოგიშვილი (შემდგომში „მიმწოდებელი/ოპერატორი“);
ფიზიკური პირი „---------- ” (პ.ნ ----------), შემდგომში **„შემკვეთი/აბონენტი**“,

ორთავე ერთად **„მხარეები“** (ცალ-ცალკე „**მხარე**“), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, წინამდებარე **მიღება-ჩაბარების აქტით ადასტურებენ, რომ:**

1) ოპერატორმა განახორციელა აბონენტის ქსელში ჩართვა **2025 წლის „--” „----------”-ის „ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ” ხელშეკრულების** 2.3 პუნქტის შესაბამისად.
2) ოპერატორმა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულების 2.2 პუნქტის საფუძველზე გადასცა, ხოლო აბონენტმა მიიღო შემდეგი სააბონენტო მოწყობილობები:

სააბონენტო მოწყობილობა	მოდელი	რაოდენობა	მდგომარეობა	შენიშვნა

3) ოპერატორის მიერ გახარჯულ იქნა შემდეგი ინვენტარი/მასალა:

ინვენტარი/მასალა	რაოდენობა	შენიშვნა

წინამდებარე აქტი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითო მხარეს.

4. მხარეთა ხელმოწერები:

„მიმწოდებელი/ოპერატორი“
შპს „ერანეტი“
უფლებამოსილი წარმოდგენილი: _____

„აბონენტი“
ფიზიკური პირი

---------- _____

_____ _____
შპს „ერანეტი“-ს ოპერატორი \ წარმომადგენელი აბონენტი \ წარმომადგენელი